ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N23

ქ.თბილისი

17 მარტი, 2023 წელი
15[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
ანა გოგოლაძე
მამუკა გუგეშაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
სალომე კობალაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ირაკლი ნადირაძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
გივი ჩხარტიშვილი
ნინო წულაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
კონსტანტინე ზარნაძე
ზაზა თავაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნინო კვიტაიშვილი
ზვიად კუპრავა
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
დავით ფარცვანია
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნათია ვერძაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: დავით ჯაიანი, ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ ჩვენი ქალაქისთვის და ქვეყნისთვის დღევანდელი დღე გათენდა ძალიან დიდი ტრაგედიით და მიუსამძიმრა დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის გოგონას ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ დღეს თბილისში მოხდა ძალიან დიდი ტრაგედია, იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოებაში არსებულ ყველა კითხვას გაეცემა პასუხი და გვექნება სრული წარმოდგენა, თუ რა მოხდა გუშინ დიდ დიღომში. ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა ქვეყანაში ბოლო პერიოდის განმავლობაში მიმდინარე პროცესებს და განაცხადა, რომ „პირველ რიგში, ჩვენ ვართ ერთი ქვეყანა, ერთი საზოგადოება და ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეულ ჩვენგანს გვესმოდეს, რომ ერთ საზოგადოებად ყოფნა ნიშნავს, ვიყოთ განუყოფელი ნაწილი იმ სურვილების და გეზის, რომელიც ყველას ერთად გვაქვს აღებული, როგორც ქვეყანას - ეს არის ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ამ გზაზე, თავისთავად ცხადია, მთელი ქვეყანა არის ერთიანი. ფრაქცია „ქართული ოცნება“ და პარტია „ქართული ოცნება“ არის ამ პროცესის ერთგული და ყველა ვხედავთ, რომ სამწუხაროდ, არსებობენ ძალები, რომლებიც ცდილობენ, რომ ადამიანების გულწრფელი, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება არაინფორმირებული პროტესტი გამოიყენონ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის, თუმცა, ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ ეს ესეთი მარტივი არ არის. ჩვენი სამოქალაქო საზოგადოება არის ძლიერი, ჩვენი ახალგაზრდობა არის ძლიერი და ყველა ძალიან კარგად ხედავს იმას, თუ ვინ და როგორ ცდილობს ახალგაზრდული თუ ზოგადად, საპროტესტო მუხტის, რომელსაც არ აქვს არანაირი პარტიული სახელი, გამოიყენოს სათავისოდ“. მისი თქმით, „ქართულ ოცნებასა“ და სხვა პარტიებს, მათ შორის, წარსულში ხელისუფლებაში მყოფ პარტიებს შორის, ერთი ძალიან დიდი განსხვავება არის ის, რომ, როდესაც მმართველი პარტია ხედავს, რომ შეიძლება გარკვეულმა პროცესებმა ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მძიმე განხეთქილებას და პროცესი გადაიზარდოს უმართავ საზოგადოებრივ დაპირისპირებაში, ყოველთვის აქვს პასუხისმგებლობა, რომ რაღაც ეტაპზე თქვას: „ამის სანაცვლოდ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება, გავიწვიოთ უკან კანონმდებლობა იქნება თუ სხვა რამ. „ქართულ ოცნებას“ - ჩვენს გუნდს, აქვს ის პასუხისმგებლობა, რომ გააცნობიეროს ის საფრთხეები და არაფერი არ ღირს თითოეული ჩვენი მოქალაქის სიცოცხლის ფასად, ჩვენი მოქალაქის ჯანმრთელობის ფასად“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „ჩვენი ყველას, მათ შორის, ჩვენი ლიდერობით და ჩვენი, ასე ვთქვათ, „ლოკომოტივობით“ ევროინტეგრაციის გზაზე სვლა არის უალტერნატივო“ და კოლეგებს მოუწოდა კორექტულობისკენ და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევისკენ.

ნინო წულაძემ მიმდინარე წლის 7-9 მარტის პერიოდში, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ მოქმედებებს „არაკონსტიტუციური“ უწოდა. განაცხადა, რომ „ე.წ. შემსულებლების დახმარებით, ივანიშვილის, ღარიბაშვილის, კალაძის, კობახიძის მეთაურობით და მათ შორის, რუსული კანონის მიღებით, „ქართული ოცნება“ გვაშორებს ევროკავშირს, „ქართული ოცნება“ გვაშორებს ღირსეულ ხელფასს, ეკონომიკურ კეთილდღეობას, დოვლათს, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, კანდიდატის სტატუსს...“ მისი თქმით, ამ პერიოდმა გვიჩვენა, რომ „ქართულმა ოცნებამ“, სწორედ ამ შემსრულებლების, რომელშიც იგულისხმება, საქართველოს პარლამენტის 76 დეპუტატი, გამოყენებით და რუსული კანონის პირველი მოსმენით მიღებით, სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ევროინტეგრაციისკენ მიმავალ შეუქცევად პროცესს. ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ აქციაზე იმყოფებოდა საჯარო მოხელე, რომელმაც თქვა, რომ „არ ეშინია სისტემის“, რაც, მისი თქმით, არის იმის ნათელი მაგალითი, რომ „ქართული ოცნება“ მომავალ არჩევნებზე ადმინისტრაციულ რესურსს ვერ გამოიყენებს. მან საკრებულოს უმრავლესობის წევრებს გაახსენა ხსენებული ქალბატონის სიტყვები: „მე დავეცი, მაგრამ ევროკავშირის დროშა წამითაც არ დაცემულა“ და მიმართა მათ: „ეს არის ის სულისკვეთება, რომელიც იმ აქციაზე შეკრებილ ხალხს გვქონდა და რაც არ უნდა თქვენს მიერ სავარაუდოდ მართული „ალტ-ინფოელები“ დარაზმოთ და პარლამენტის წინ ევროკავშირის დროშა დაახევინოთ, ამ სულისკვეთების ჩაქრობა არ გამოგივათ. იცით სახალისო და სასაცილო რა არის? - ერთი

ხელით, იმ გუნდის წევრები ხართ, რომელიც დასავლურ კურსს ეწინააღმდეგება და რუსულ კანონს იღებს და მეორე ხელით, 2022 წელში, დაახლოებით 83000 ლარი ხალხის ფული, თქვენივე მივლინებებში დაიხარჯა. უკაცრავად, მაგრამ ფარისევლური პროცესია, როდესაც ვერ აძლევთ საკუთარ თავს იმის უფლებას, თქვათ, რომ ეს კანონი არის პუტინის რეჟიმის საკმევლის კმევა და არა ქართველი ხალხის რეალური სურვილების განხორციელება."

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ ტელეკომპანია „იმედზე" დაიწყო „ქართული ოცნების" პარტიის „დიდი ფერხული", რადგან ბოლო სამი დღეა არ წყდება ღარიბაშვილის, კობახიძის თუ კალაძის გამოსვლები, რომლებისგანაც ვისმენთ უამრავ ტყუილს. მისი თქმით, გასაკვირია არა ის, რომ „ქართული ოცნების" წარმომადგენლები ამდენი ტყუილის ჩატევას ახერხებენ პატარ-პატარა წინადადებებში, არამედ ის, რომ მმართველი გუნდის აზრით, საზოგადოება ვერ აფასებს მიმდინარე მოვლენებს და რომ თითქოს მოქალაქეებს არ აქვთ ინტერნეტი და ვერ გაიგებენ რა ხდება ქვეყანაში ან საზღვარგარეთ, რომ თურმე მოქალაქეები კანონებს ვერ კითხულობენ და ვერ გაიგეს რომ „ის რუსული კანონი თურმე არ იყო რუსული, თურმე კეთილი კანონი იყო და არანაირი შეზღუდვა არ იქნებოდა". აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ძალიან საინტერესოა, თქვენ მართლა გგონიათ, რომ ჩვენ არ ვიცით ვის აქვს ოკუპირებული ამ ქვეყნის 20%? ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენ მგონი გგონიათ თავი სხვაგან... დღესდღეობით სიტუაცია არის ისეთი, რომ „ქართული ოცნება" არის საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის მთავარი წინაღობა." საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს არა ევროპას, არამედ რუსეთს და ევროპა მოთხოვნებს კი არ აყენებს, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს, არამედ ის გვთავაზობს პერსპექტივას, რომელსაც საქართველო ან მიიღებს, ან არ მიიღებს და მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში აღარ არის პერსპექტივა და ხალხი ტოვებს ქვეყანას, ქართველ ხალს უნდა ეს პერსპექტივა და კიდევ ერთხელ მიმართა „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს: „უკრაინა აუცილებლად მოიგებს ამ ომს და საქართველო აუცილებლად ინტეგრირდება ევროკავშირში და ძალიან გთხოვთ, ხელს ნუ შეუშლით ამ მიზანს."

ნინო ვარდოსანიძე შეუერთდა დიდ დიღომში გარდაცვლილ გოგონასთან დაკავშირებით გამოთქმულ სამძიმარს და აღნიშნა, რომ რადგან ამ ეტაპზე საუბარი არ არის მისი გარდაცვალების საბოლოო ვერსიაზე, უადგილო იქნება რაიმე კონკრეტულის თქმა, გარდა იმისა, რომ მოხდა ძალიან მძიმე ტრაგედია. ისაუბრა ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე და აღნიშნა, რომ გასული კვირის განმავლობაში ვნახეთ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მიმართ ზიზღით და შეურაცხყოფებით სავსე კამპანია, რომელშიც ჩართული იყვნენ პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვადასხვა მედიის წარმომადგენლები, უნივერსიტეტების და სკოლების პედაგოგები, ასევე, ვიხილეთ ყოფილი სახალხო დამცველი, რაც ბევრი ჩვენგანისთვის კიდევ უფრო მძიმე და გამაოგნებელი ფაქტია. მისი თქმით, ძალიან სამწუხაროა, როდესაც სკოლის მასწავლებელი, იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდებს მიუთითებდეს ერთმანეთის და განსხვავებული აზრის მიმღებლობისკენ, იქცევა აბსოლუტურად საპირისპიროდ და როდესაც ვსაუბრობთ „ფაშიზმზე", სწორედ ეს არის „ფაშიზმის გამოვლინება", რაც არის საშიში მოვლენა და ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება დაუპირისპირდეს მას პირველივე გამოვლინებისას. ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ ყველას გვახსოვს მსგავსი გამოვლინებები და „ადამიანების ჩარეცხვის" მცდელობები გასულ წლებში და იმ ადამიანების ნაწილი, რომლებიც მაშინ ხელისუფლებიდან ახორციელებდა მსგავს მიდგომას, ახლა ოპოზიციიდან და სხვადასხვა ფრონტიდან ცდილობს ამის გაკეთებას, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების უმრავლესობა მაშინაც იყო პრინციპული და ფიქრობს, რომ დღესაც, ამ ყველაფერზე, ექნება სწორი და ადეკვატური რეაქცია.

ვახტანგ სურგულაძემ გამოსვლა დაიწყო რიტორიკული კითხვით: „ამ დარბაზს აგრესიის სენი სჭირს თუ აგრესიის აურა?" და ეს კითხვა დასვა იქიდან გამომდინარე, რომ, მისი თქმით, საკრებულოს წევრებს, როდესაც არ იმყოფებიან სხდომაზე, ერთმანეთთან ნორმალური კომუნიკაცია აქვთ და უფრო მეტიც, რამდენიმე დღის წინ, თავად და გივი ჩხარტიშვილი

ერთობლივად დაეხმარნენ მოქალაქეს პრობლემის მოგვარებაში. მისი თქმით, შეუძლებელია მუდმივად ერთი მხარე იყოს მართალი, თუნდაც ამ კანონპროექტის შემთხვევაში - რა აუცილებლობა იყო ასე სწრაფად მიგვეღო კანონი, რომელიც იწვევს გარკვეულ ეჭვს? ხომ შეიძლებოდა გვემსჯელა და გვესაუბრა ამაზე, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც მეოთხე წელია პარლამენტი მუშაობს ქუჩის ცხოველებთან დაკავშირებულ კანონზე, რომლის მიღებაც ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე განაცხადა, რომ მიუღებელია ხელისუფლების წარმომადგენლების შეურაცხმყოფელი განცხადებები, თითქოს ოპოზიციას არაფერი წაუკითხავს, რადგან ყველაფერს კითხულობენ და მათ შორის, ძალიან ყურადღებით წაიკითხეს ხსენებული კანონპროექტიც, რომელზეც ბევრი ეჭვი და კითხვა გაუჩნდათ და მიმართა უმრავლესობის წარმომადგენლებს: „ნუ მივაყენებთ ერთმანეთს შეურაცხყოფას... დიახ, მეც არ მომწონს ეს კანონი... გაგვერჩია, გაგვეკეთებინა ახსნა-განმარტება... ბრძანება იყო ესეთი, რომ სამ კვირაში მიგეღოთ?“

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ თბილისელები, რომელთა წარმომადგენლებიც არიან საკრებულოს წევრები, იმსახურებენ ნებისმიერი პოზიციის გამოხატვას, მათ შორის, ოპოზიციის წარმომადგენლების აზრის მოსმენას, რადგან თბილისი არის ის ქალაქი, რომელიც მარტის დღეებში გამოვიდა აქციაზე და საკრებულოს წევრები, როგორც „მათ მიერ დაქირავებული ხალხი“, მათი კეთილდღეობისთვის უნდა საქმიანობდნენ. მისი თქმით, გაუგებარია, როგორ შეიძლება, რომ ხელისუფლებამ ყველა სოციუმში და ყველა ტიპის ერთობაში ეძებოს „მტრის ხატი“ - დაიწყეს მედიებში მტრის ხატის ძებნა, შემდეგ დადგა არასამთავრობო ორგანიზაციების ჯერი და ბოლოს, მარტის დღეებში, „აშავებს“ მოსწავლეებს და სტუდენტებს, რომლებსაც „ქართული ოცნების“ რიგი ლიდერები „სატანისტებს“ უწოდებენ. განაცხადა, რომ, ახლა, უკვე მასწავლებლების მიმართ „ბულინგსაც“ისმენს და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „დარჩა საზოგადოების რაიმე ნაწილი, რომლისგანაც „მტრის ხატს“ არ ქმნის დღეს ხელისუფლება?“ მისი თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ მომავალ თაობასთან დაპირისპირებაში შედის ხელისუფლება, მაგრამ, ეს არ არის XIX საუკუნის „თაობათა შორის ბრძოლა და ლიტერატურული დაპირისპირება“, არამედ, ეს პირდაპირი მნიშვნელობით დაპირისპირებაა და ფაქტია, რომ ხელისუფლება, რომელსაც საკრებულოს უმრავლესობაც წარმოადგენს, ამ დაპირისპირებაში ისე შევიდა, რომ არ მოერიდა ახალგაზრდების დარბევას, გაზით მოწამვლას და სასამართლო ათასობით ლარის ჯარიმის გადახდასაც აკისრებს მათ ისე, რომ არავინ ფიქრობს, რამდენად არიან ამ ჯარიმის გადახდისუნარიანები ეს ახალგაზდები და რიგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეებითაც კი „იმუქრება“ ხელისუფლება. ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა: „როგორი განაჩენიც არ უნდა გამოუტანონ სასამართლოში ამ ახალგაზდებს, მე პირადად ვფიქრობ, რომ მათ გამოუტანეს განაჩენი ამ ხელისუფლებას თავისი მოქმედებით და ყოველდღიური აქტიურობით და ეს განაჩენი ყველამ ვნახეთ... ზოგადად, ახალგაზრდები, ყველაფერს გაპატიებენ, მათ შორის, პოლიტიკურად არასწორ ნაბიჯს, მაგრამ იმას, რაც იქ ხდებოდა, 8-9 მარტს, დამერწმუნეთ, რომ ხელისუფლებას არასდროს აპატიებენ“. საუბრის ბოლოს, ნინო კვიტაიშვილი გამოეხმაურა თბილისის მერის ევროკავშირში „ცალ ფეხზე დგომასთან“ დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და მიმართა მას: „ცალ ფეხზე და მუხლმოდრეკილი რუსეთის წინაშე ვინ დგას, ეს ვნახეთ ქართველმა ხალხმა. ჩვენ ამაყად, ორ ფეხზე და მყარად ვდგავართ ევროკავშირის იდეით“.

ირაკლი ხელაძემ აღნიშნა, რომ ოთარ გრიგოლიამ მოუწოდა კოლეგებს, რომ ერთმანეთის მიმართ არ ყოფილიყო „წითელი ზღვარის გადალახვა“, რასაც შეუერთდა ვახტანგ სურგულაძე და განაცხადა, რომ „ამ დარბაზს აქვს განსაკუთრებული აურა და ადამიანები ხდებიან აგრესიულები“, თუმცა, ნინო კვიტაიშვილის გამოსვლაში მოვისმინეთ, რომ „მტრის ხატებად“ იქმნებიან საზოგადოების წევრები და მიმართა მას: „როგორ ფიქრობთ, იმ ადამიანებს, ვისაც ინიციატივა ჰქონდათ გაკეთებული და ამ კანონის განხილვა შესთავაზეს პარლამენტსაც და საზოგადოებასაც, არ ჰყავთ შვილები, არ ჰყავთ ოჯახის წევრები? მათ რომ მოღალატეებს ეძახიან, მათ რომ რუსეთის ჯაშუშებს ეძახიან, ეს არ არის „მტრის ხატის“ შექმნა? არ შეიძლებოდა დავმსხდარიყავით და გვემსჯელა? იცით რატომ ხდება იმ ადამიანებისგან

„მტრის ხატის“ შექმნა? ამ აქციების, თუნდაც იმ გულწრფელი პროტესტის და პროტესტანტების გეგმების მთავარ სცენარისტად იყო ვანო მერაბიშვილი.“ ირაკლი ხელაძემ ასევე, მიმართა მამუკა გუგეშაშვილს: „როგორ ფიქრობ, შენ გინდა ევროკავშირი და ჩვენ გვინდა რუსეთი? აქ მსხდომ ახალგაზრდებს გვინდა რუსეთი? ასეთი შეურაცხმყოფელი განცხადებები, რომ ვიღაც რუსული კანონის მხარდამჭერია, ვიღაც მოღალატეა, აქ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილები, რადგან აქედან იქმნება „მტრის ხატები“ და ჩვენგან ადეკვატური პასუხი ნურავის გაუკვირდება.“ მისი თქმით, არაერთხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც რუსთაველის გამზირზე შეკრებილან ადამიანები, გამოუხატავთ თავისი ნება და დაუფიქსირებიათ პროტესტი ისე, რომ მათ არავინ შეხებია, მაგრამ, როდესაც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ახალგაზრდებს მოუწოდებს ცარიელი შენობის პიკეტირებისკენ და ოპოზიციის მხრიდან ხდება ხალხის გულწრფელი პროტესტის ბოროტად გამოყენება, სანამ „ქართული ოცნება“ იქნება ხელისუფლებაში, ოპოზიციას ყოველთვის ჩაუვარდება დესტაბილიზაციის და არეულობის მცდელობის ყველა გეგმა. ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ არბევდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს აქციებს და რა დღეში ამყოფებდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს, რაც არ ახსოვს დღევანდელ ახალგაზრდობას, რადგან სწორედ დღევანდელმა ხელისუფლებამ იზრუნა იმაზე, რომ მათ ეცხოვრათ თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში და მშვიდობიანი პროტესტის დროს, „მანქანებში არ ჩაეტენათ და ტყეებში და სასაფლაოებზე არ დაეტოვებინათ ხალხი“. როდესაც არის პროვოკაციული ქმედებები და ინფორმაცია დესტაბილიზაციის მცდელობაზე, სახელმწიფოს მხრიდან ყოველთვის არის ადეკვატური პასუხი. ქართველმა ხალხმა კარგად იცის კარგის და ცუდის გარჩევა და არაფერი ისე არ დაგვაახლოებს ჩვენ რუსეთთან, როგორც ამ ქვეყნის არევის მცდელობები, რაც არის ოპოზიციის მიზანი, თუმცა, ჩვენ მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად მივდივართ ევროკავშირისკენ და აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის წევრები, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“, საზოგადოების მხრიდან, ყოველთვის ექნება ისეთი პასუხი, რომ წარმატებას ვერასდროს მიაღწევს.

ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ „დღეს დილას განვითარებული ტრაგედიის შემდეგ, არ შემიძლია ამას არ შევეხო. მე მესმის, რომ ხელისუფლება და კალაძე არაფერზე არ არის პასუხისმგებელი, არც იმაზე, რომ შადრევანი არ არის უსაფრთხო ამ ქალაქში. ხელისუფლება არც იმაზეა პასუხისმგებელი, რომ ბატუტებზე ბავშვები იღუპებიან და შესაბამისად, დღეს აღმოჩნდა, რომ თურმე არც საქანელაზე არ არის ბავშვები უსაფრთხო“.

გიორგი ტყემალაძემ ზვიად კუპრავას გაუთიშა მიკროფონი, აღარ მისცა სიტყვის გაგრძელების შესაძლებლობა და მიმართა მას: „თქვენ ხართ პროვოკატორი. თქვენ ხართ იმისთვის მოსული, რომ ყველაფერი იკადროთ“.

გურამ ოქროპირიძე გამოეხმაურა ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კანონპროექტის გაწვევასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ეს იყო ერთადერთი ყველაზე სწორი ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან, რადგან ნებისმიერმა პოლიტიკურმა აქტორმა უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების საუკეთესო ინტერესები. ასევე, გამოეხმაურა, პარლამენტის წინ რამდენიმე დღის წინ გამართულ აქციას, სადაც, მისი თქმით, „რადიკალურმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა“ გაანადგურეს ევროკავშირის სიმბოლიკა და მიმართა მათ: „გადახედეთ საქართველოს ისტორიის უკანასკნელ ორ საუკუნეს და ძალიან მარტივად გაარჩევთ, ვინ არის მტერი და ვინ - მოყვარე“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ძალიან მძიმე სანახავია ტელევიზიიდან ბოღმის და სიძულვილის ფრქვევა, რასაც თითოეული ჩვენგანი ვუყურებთ და სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი ამოფარებულია კონსერვატიულ ღირებულებებს და მიმართა კოლეგებს: „დასავლურ ღირებულებებზე მორალური ტრიბუნიდან, ძალიან გთხოვთ, ნუ ისაუბრებთ იმ პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები, რომელმაც ყველა ეს ღირებულება ფეხქვეშ გათელა.“

მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ დღეს საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ალბათ 99%-ს რუსეთი არ უნდა, თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ კანონზე, მნიშვნელობა არ აქვს ის რუსულია, ამერიკული თუ ესპანური, რომელზეც ამერიკის დეპარტამენტი, მთლიანად ამერიკა, ევროპა

და რაც მთავარია, ქართველი ხალხი, მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ არ გაიტანოს, მაგრამ ხელისუფლებას, მაინც გააქვს „ხელის გადაგრეხვის პრინციპით“, უნდა იცოდეს, რომ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მიიღებს ხალხის აგრესიას. აქვე აღნიშნა, რომ თავადაც ემიჯნება ზოგიერთი ოპოზიციონერი ლიდერის მოწოდებებს, რომლებიც ისმოდა აქციაზე და ზოგადად, მას ჰყოფნის გამბედაობა ყოველთვის ღიად თქვას, რომ არ მოსწონს ამა თუ იმ ადამიანის მოწოდებები, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „თქვენ არ გყოფნით ის ძალა, რომ თქვენს ლიდერებს, როდესაც მოვლენ ზარქუა და დავითულიანი, მოიტანენ „მესიჯბოქსს“ და ჩაგიტარებენ თათბირს, უთხრათ, რომ ეს კანონი არ უნდა გავიდეს, რადგან ეს არის ხალხის წინააღმდეგ კანონი“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ახალგაზრდობამ და მოსახლეობის უმრავლესობამ დაანახა, რომ რუსეთი საქართველოში ვეღარასდროს იქნება და ამიტომ დღეს ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, შევასრულოთ 12 პუნქტიანი ხელშეკრულება, რათა გავხდეთ ევროპის ნაწილი.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ დღევანდელი დღე დაიწყო უმძიმესი ტრაგედიით და მიუსამძიმრა გარდაცვლილი გოგონას ოჯახს და მის ახლობლებს. ისაუბრა პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „მიპასუხეთ, რა ნაწილში იყო რუსული კანონი. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ თქვენგანს წაკითხული აქვს, თუმცა, იქნებიან ისეთებიც, ვისაც წაკითხული არ აქვს, მათ შორის, ბევრი ჩემი თანატოლი, რომელიც გამოიყვანეთ ქუჩაში, გააპროტესტებინეთ ჯერ კიდევ დაუწერელი კანონპროექტი, შემდეგ გააპროტესტებინეთ კანონპროექტი, რომელსაც რუსულთან არანაირი შეხება არ ჰქონდა და მეტიც, საერთოდ პროცესი გააპროტესტებინეთ, რომელსაც ევროინტეგრაციასთან საერთოდ არანაირი კავშირი არ ჰქონდა ერთი მარტივი მიზეზის გამო - ნებისმიერ კანონპროექტზე მსჯელობა შეუძლებელია იყოს არაევროპული ღირებულება, რა ტიპის კანონიც არ უნდა იყოს“. მისი თქმით, ამ კანონზე მუშაობა დაიწყო კანადამ და ევროკავშირმა, უკვე მოქმედებს ისრაელში, ავსტრალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ყველა ამ ჩამოთვლილ ქვეყანაში არის გაცილებით უფრო მკაცრი, ხისტი და არავითარი კავშირი არ აქვს რუსულ კანონთან. გიორგი ჩაკვეტაძემ მიმართა ანა გოგოლაძეს: „პარტიაში ხარ, რომლის ლიდერი ვანო მერაბიშვილია, დაგიბრუნდა ეს ადამიანი პარტიაში, ეს ადამიანი ჩვეულებრივად გამოდის და მოწოდებებს აკეთებს, რომ ხელისუფლებას შეცვლის ამ ქვეყანაში და ისეთი ხელისუფლება მოვა, რომელიც რუსეთთან დაიწყებს ომს. სირცხვილია ეს, იმიტომ, რომ ეს ადამიანი იყო შემოქმედი იმისი, რომ ჩვენი გმირი სამხედროები მიატოვეს ბრძოლის ველზე, საქართველო გაამტყუნეს იმ რეზოლუციით, თითქოს საქართველომ დაიწყო ომი... მე მგონი დრო დადგა ანა, რომ გაემიჯნო ამ პარტიას, გამოხვიდე „ნაციონალური მოძრაობიდან“ იმიტომ, რომ ამ პარტიას საერთოდ არანაირი კავშირი არ აქვს არც ევროკავშირთან, არც ევროპულ ღირებულებებთან, მეტიც, ფაქტობრივად პლაცდარმად გადაიქცა „ნაციონალური მოძრაობა“ და ის პატარა ჯგუფები, ვინც ამ ქვეყანაში ცდილობს არეულობას. არეულობა ამ ქვეყანაში ვის აწყობს, ეს მგონი ყველასთვის გასაგებია და ამ ქვეყანას ჰქვია რუსეთი, რომელიც ყოველთვის ეცდება, რომ საქართველოში მოხდეს არეულობა“. საუბრის ბოლოს, გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ იმედს იტოვებს, რომ ანა გოგოლაძე და მისი თანამოაზრეები გაემიჯნებიან ვანო მერაბიშვილის და დავით კეზერაშვილის პარტიას.

ირაკლი ნადირაძე შეუერთდა დიდ დიღომში 12 წლის გოგონას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოთქმულ სამძიმარს და აღნიშნა, რომ მომხდარი უმძიმესი ტრაგედიაა, რომლის გამოხატვაც ძალიან რთულია. ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და აღნიშნა, რომ ესმის საკრებულოს უმრავლესობის წევრების დღის წესრიგის, რომლებიც აყოლილები არიან სახელისუფლებო პროპაგანდას, რომ თითქოს ამ აქციების უკან იდგნენ მერაბიშვილი და კეზერაშვილი, რადგან „ყველგან ეს ხალხი და რევოლუცია ელანდებათ“. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმაც კარგად იციან, რომ ამ აქციებზე იდგნენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, პოლიტიკოსებიც, სამოქალაქო აქტივისტებიც, ინჟინრებიც, ექიმებიც, მასწავლებლებიც, პროფესორებიც და რაც ყველაზე მთავარია, იდგნენ „გულანთებული, თვალებციმციმა, ლაღი, განათლებული ახალგაზრდები“ და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „ამ ახალგაზრდებმა დაგამარცხეს თქვენ და დაგახევინეს უკან

და არა იმან, რომ თქვენ ხალხის ხმა გაიგონეთ და ა.შ. არა, თქვენ რეალურად შეგეშინდათ, რომ ეს პროტესტი არ ჩერდებოდა, საპროტესტო მუხტი არ ცხრებოდა და ბიძინა ივანიშვილმა - რუსმა ოლიგარქმა დაინახა სინამდვილეში, რომ შეიძლებოდა ეს საპროტესტო მუხტი კიდევ უფრო მეტად არ გაჩერებულიყო და ამიტომ მოგიწიათ თქვენ უკან დახევა". თუმცა, მისი თქმით, კარგია, რომ ეს ასე მოხდა და ხალხმა ირწმუნა თავისი ძალის, რომ პროტესტით, მუხტით და არაძალადობრივი აქციებით შეიძლება მათთვის სასურველი შედეგის მიღება. ირაკლი ნადირაძემ ისაუბრა იმაზე, კანონი არის თუ არა რუსული და აღნიშნა, რომ გასაგებია ის, რომ ხელისუფლებას არ სჯერა ოპოზიციის წარმომადგენლების, მაგრამ როდესაც ის ხალხი, ვინც უნდა მოგვანიჭოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, ევროპარლამენტარები, ამერიკის და ევროკავშირის ელჩები და საერთაშორისო საზოგადოება ამბობენ, რომ ეს იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი ქართული დემოკრატიისთვის, სულ რომ კარგი იყოს ეს კანონი, თუნდაც ამიტომ აღარ უნდა მომხდარიყო მისი განხილვა, რადგან როდესაც ხედავ, რომ ის აფერხებს ჩვენს ევროპულ გზას და მომავალს, განხილვაც იყო და არის პრობლემა. საუბრის ბოლოს, ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ამ აქციებზე მოხსნილი იყო ყველანაირი პოლიტიკური მოთხოვნა და იყო მხოლოდ ერთადერთი მოთხოვნა - „ამ კანონის უკან გაწვევა" და სწორად ამიტომ, ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბევრი მცდელობის მიუხედავად, არ გამოსდით, რომ ის აქციონ პოლიტიკურ აქციად და თუ „ქართული ოცნების" წარმომადგენლების გულში არის გულწრფელობა და სურთ, რომ 12 პუნქტიანი გეგმა პირნათლად შესრულდეს, რომელიმე მათგანმა საჯაროდ თქვას, რომ ეს კანონპროექტი, რაიმე სახეცვლილი ფორმით, აღარასოდეს განიხილება საქართველოს პარლამენტში.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ „ასეთი ტიპის კანონი პარლამენტში არ დაბრუნდება და ეს საკითხი არ განიხილება", რაც ოპოზიციის წარმომადგენლებმაც კარგად იციან, თუმცა, ისეთი ტექსტებით საუბრობენ, თითქოს 7 მარტამდე დაწერეს, დღესაც იქ არიან და ფიქრობენ, რომ კიდევ რაღაც განიხილება. მისი თქმით, დღევანდელმა ხელისუფლებამ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებისგან განსხვავებით, ახალგაზრდობას „თავ-პირი კი არ დაალეწა", არამედ ანგარიში გაუწია და კანონპროექტი უკან გაიწვია. ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ ნათლად გამოჩნდა, თუ ვინ ითამაშა ყველაზე მეტი პრორუსული როლი ამ პროცესებში, რადგან ოპოზიციამ კარგად იცის, რა პრობლემები ექნება ამ ქვეყანას, თუ სტაბილურობას ხელი შეეშლება და ვანო მერაბიშვილის და დავით კეზერაშვილის გეგმა ისეთივე წარმატებით განხორციელდება, როგორც ხაბეიშვილის პარტიის თავმჯდომარედ არჩევა მოხდა. მისი თქმით, თუ ქვეყანაში „სისხლიანი რევოლუცია" იქნება, ევროკავშირი ისევე გაქრება ჩვენი სასაუბრო თემიდან, როგორც ეს იყო 2012 წლამდე, როდესაც ქვეყანაში დამყარებული იყო რეჟიმი, რომლისაც „პუტინს შურდა". სწორედ ამიტომ, ევროკავშირმა, ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, კანდიდატის სტატუსი და 12 პუნქტიანი გეგმა მისცა „ქართულ ოცნებას" და არა „ნაციონალური მოძრაობას". საუბრის ბოლოს, ვლადიმერ ბოჟაძემ მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს: „თუ ასეთი ანგელოზები იყავით და ევროკავშირზე გიჟდებოდით, ქუჩაში რას ხოცავდით ხალხს? ყოველ მეორე დღეს ციხიდან მიცვალებული რატომ გამოჰყავდათ? „იმედი" მიწასთან რატომ გაასწორეთ? ოპოზიცია მიწასთან რატომ გაასწორეთ? ის ოპოზიციონერები, რომლებიც თქვენ, 2007 წელს, 7 ნოემბერს, სამჯერ რომ დაგვარბიეთ და რუსეთის აგენტებად გამოაცხადეთ, ეხლა ყველა პარტიულ სიაში გიწერიათ."

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ნებისმიერი საუბარი აზრს კარგავს მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს ყველაფრის მიუღებლობა აქვთ და აცხადებენ, რომ კანონი არ იყო რუსული, თურმე ახალგაზდები იყვნენ მართული და მიმართა მათ: „თქვენ იქ უნდა ყოფილიყავით და ნახავდით რა იყო მართული და როგორ იყო მართული. ჩვენი ლაღი, თავისუფალი და განათლებული ახალგაზრდობა, „სატანებად" რომ მოიხსენიებთ თქვენ და თქვენი უფროსობა, „გამოგიყვანთ წირვას". ბევრჯერ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რაც არ უნდა ენგრია მიხეილ სააკაშვილს ქვეყანა, თავისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში და რაც არ უნდა ცუდი ეკეთებინა, ეს თავისუფალი ახალგაზრდობა არის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დამსახურება და მადლობა მას ამისთვის... როდესაც ხელისუფლება გადის

კონსტიტუციური ჩარჩოებიდან და როდესაც რუსეთისკენ მიდის გზა, გინდა რადიკალი დამიძახოთ და რაც არ უნდა დამიძახოთ, მე პირადად ვიქნები იმ „რადიკალების“ სათავეში, თქვენ რომ უწოდებთ... ის ახალგაზრდობა, ჩვენთან ერთად, იქნება იმის გარანტი, რომ საქართველოში საბჭოეთი დასრულდა და რუსეთი ვერასდროს ვერ მოიკიდებს ფეხს“. მისი თქმით, რთულია საუბარი, როდესაც ყველაფერი უფასურდება, როდესაც ქვეყნის მმართველი პარტია კოლაბორაციაშია რუსეთთან და საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნისგან გვესმის ჩვენი მთავრობის „ქებათა-ქება“. ლილე ლიპარტელიანმა გაიხსენა საქართველოს ისტორია და აღნიშნა, რომ ერეკლე II-მ, რომლესაც არჩევანი ჰქონდა ცუდსა და უარესს შორის, არჩევანი გააკეთა უარესზე, თუმცა, მალევე, როდესაც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას ბრძოლის დასრულების შემდეგ, მხოლოდ ორი ბატალიონი და რამდენიმე ზარბაზანი გამოგზავნა რუსეთმა საქართველოში, ვითომ დასახმარებლად, მიხვდა რა შეცდომაც დაუშვა. ყველას გვახსოვს და ვიცით, რომ ამის შემდგომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის არქონა და რუსეთის მონობა გაგრძელდა ორი საუკუნე. მისი თქმით, დღესაც ამ ისტორიულ გზაგასაყარზე ვართ, თუმცა, ახლა არჩევანი გვაქვს რუსეთს და ევროპას შორის, ნათელს და ბნელს შორის, „ცალ ფეხზე დგომას“ და მოკავშირეობას შორის და დღევანდელი ხელისუფლება, სამწუხაროდ, არჩევანს აკეთებს რუსეთზე და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „თქვენგან რას უნდა ველოდოთ ჩვენ?.. ჩვენ უნდა ველოდოთ მხარდაჭერას თუ არ უნდა ველოდოთ?.. არა, თქვენ, თქვენი შვილების მომავალს ვერ იცავთ და ჩვენ რა მხარდაჭერას უნდა ველოდოთ?.. ევროკავშირი და ევროინტეგრაცია არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი შანსი... თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, როგორ შეხვალთ ისტორიაში... კარგად დაფიქრდით, რა იქნება თქვენი არჩევანი - ევროპა თუ რუსეთი.“

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გადასულია თვითდეგრადირებად რეჟიმში და მიმართა მის წარმომადგენლებს: „ნაცებო, თქვენ ხართ სენი და დაგვეხსენით... მალე უნდა დაგვეხსნათ და დაისვენებს საზოგადოებაც... მართლა კარგი ახალგაზრდობა მოდის... საკრიტიკებელიც ბევრია, ვინც აკეთებს, მას აქვს ნაკლი აუცილებლად და ამას აუცილებლად მივიღებთ, მაგრამ თქვენგან ვერასდროს ვერ მივიღებთ“.

ზაზა თავაძემ სამძიმარი გამოუცხადა დიდი დიღომში გარდაცვლილი 12 წლის გოგონას ოჯახს და აღნიშნა, რომ ძალიან მძიმეა ეს ტრაგედია ოჯახისთვის, თბილისისთვის და სრულიად საქართველოსთვის. ისაუბრა იმაზე, თუ რა ხდებოდა თბილისში ე.წ. „რუსულ კანონთან“ დაკავშირებით გამოწვეული პროტესტის დროს და განაცხადა, რომ არავის არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა იყო ამ კანონპროექტის ლეგიტიმური მიზანი ანუ რასთან დაკავშირებით და რისთვის უნდა ყოფილიყო ეს კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა დაჩქარებულად, პირველი მოსმენით მიიღო, ქცეული კანონად. ამ ლეგიტიმური მიზნის შესახებ საზოგადოებას დღემდე არ აქვს პასუხი იმდენად, რამდენადაც ვერც კანონპროექტის ავტორებმა და ვერც „ქართულმა ოცნებამ“ ვერ დაანახა თუ რას ემსახურებოდა ამ კანონის ასეთი დაჩქარებული წესით მიღება. უფრო მეტიც, პოლიტიკურმა პარტიამ „გახარია საქართველოსთვის“ პარლამენტში წარადგინა ალტერნატიული კანონპროექტი, რომელიც აკეთებდა მინიშნებას ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით, რომ კონკრეტულ სახელმწიფოს ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყანა და იქნებოდა იმ ლეგიტიმური მიზნის მატარებელი, რომელიც აღკვეთავდა ოკუპანტი ქვეყნის - რუსეთის ფედერაციის იმ ზრახვებს, რაც მას გააჩნია ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში, თუმცა, ამის პასუხად მივიღეთ ამ კანონპროექტის „თაროზე შემოდება და იქ რაღაც პროცედურული ომი“. ამის შემდეგ, მივიღეთ საზოგადოების ჯანსაღი პროტესტი ე.წ. „რუსული კანონის“ და ყოველგვარი რუსულის წინააღმდეგ, რამაც ჰპოვა განვითარება იმ დღეებში, როდესაც თავადაც და პარტიის ლიდერებიც იყვნენ აქციებზე. განაცხადა, რომ კონსტიტუცია დაირღვა იმით, რომ ამ ჯანსაღი პროტესტის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა არაპროპორციული, არალეგიტიმური საშუალებები, რა დროსაც დაშავდა ბევრი ადამიანი და აქედან გამომდინარე, მოუწოდა კოლეგებს: „ვიყოთ ძალიან კორექტულები და თანმიმდევრულები“. საუბრის ბოლოს, ზაზა თავაძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „მე ძალიან გამიხარდა, რომ თუნდაც დეკლარაციულად, დღეს, მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, აქ, ამ დარბაზში, ამბობთ, რომ

„ჩვენ გვინდა ევროპა“. ძალიან კარგია, რომ გინდათ ევროპა, მაგრამ ეს უნდა დაამტკიცოთ საქმით“.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე ძალიან მძიმეა დიდ დიღომში მომხდარი ტრაგედიის ფონზე და მიუსამძიმრა გარდაცვლილი გოგონას ოჯახს. განაცხადა, რომ თითოეული თბილისელი, საკრებულოს ყოველი სხდომის დროს საკრებულოს წევრებისგან ელოდება, რომ კონკრეტული წინადადებებით განაგრძობენ მოღვაწეობას ამ ინსტიტუტში, თუმცა, რეალურად ხედავს კიდევ უფრო მეტ დაპირისპირებას ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის და საზოგადოება იღებს კიდევ უფრო მეტი პოლარიზების სტიმულს, რასაც არ აქვს დასასრული და დღეს გვაქვს ის რეალობა, რომ ამ დარბაზში შეუძლებელი გახდა არსებითი მსჯელობა ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად. მისი თქმით, 7-8 მარტის მოვლენებმა, ხელისუფლებას აჩვენა, რომ ის უძლურია საზოგადოების წინაშე და უნდა წავიდეს იმ დათმობებზე, რასაც მოსახლეობა მოითხოვს და ეს დათმობა, პირველ რიგში, არის ევროპული გზის არჩევანის უცვლელობა, რასაც არ აქვს ალტერნატივა და დღეს, იმის ნაცვლად, რომ 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების თვალსაზრისით, ხელისუფლება გადავიდეს ოპოზიციასთან თანამშრომლობის ფორმატში, ხდება ე.წ. „რუსული კანონის“ გამართლება და საუბარია იმაზე, რომ საზოგადოებამ ვერ გაიგო კანონის შინაარსი და ამიტომ გავიწვიეთო. მიხელ კაკაურიძემ განაცხადა, რომ ამ ყველაფერს კიდევ უფრო უარესი მომავალი აქვს, რადგან ხელისუფლების და ოპოზიციის გარეშე, შეუძლებელია ქვეყნის მომავალი განვითარება და ევროპული გზა, ამ ფორმატში შეუძლებელია 12 რეკომენდაციის შესრულება და რაიმე დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნების ჩატარება ქვეყანაში და რაც მთავარია, შეუძლებელია საზოგადოების შერიგება, რაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ საკრებულოში დარეგისტრირებული აქვს რამდენიმე ინიციატივა და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ იმსჯელონ მის წინადადებებზე და საზოგადოებას შესთავაზონ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ის მოდელი, რომელიც განვრცობადი იქნება ყველა მუნიციპალიტეტზე, რადგან სხვანაირად, „ჩვენ ხვალინდელი დღე არ გაგვაჩნია“.

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ არა როგორც საკრებულოს წევრმა, არამედ, როგორც ერთმა მოქალაქემ, რომელიც აქციების დღეებში იდგა რუსთაველის გამზირზე, სურს მადლობა გადაუხადოს ჩვენს თანამოქალაქეებს იმისთვის, რომ ამ წლების განმავლობაში გაღვივებული ნიჰილიზმი, უსუსურობა და უიმედობა, რასაც „ქართული ოცნება“ იყენებდა სისტემის სამართავ ინსტრუმენტად, მმართველ გუნდს სამ ღამეში გამოეცალა ხელიდან. სურს, თანამოქალაქეებს მადლობა გადაუხადოს იმისთვის, რომ დაიცვეს ისტორიული არჩევანი და მმართველ გუნდს არ მიეცა შესაძლებლობა, ქვეყანა დაეტოვებინა ევროპული თანამეგობრობის მიღმა რუსულ ორბიტაზე და ასევე, იმისთვის გადაუხადოს მადლობა, რომ მმართველ გუნდს არ მიეცა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მასშტაბური სტიგმატიზაციის და უკონტროლო ძალაუფლების გამოვლინების შესაძლებლობა. ანა გოგოლაძემ უპასუხა გიორგი ჩაკვეტაძის მიერ დასმულ შეკითხვას, თუ რა იყო ამ კანონში რუსული და მიმართა მას: „ამხელა განხილვების ფონზე, უნდა ხვდებოდეთ, რომ ამ კანონში რუსული იყო მიზანი, იყო სულისკვეთება და იყო ის დროითი კონტექსტი, როდესაც მიიღებოდა ეს კანონი“. გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის კანადურ, ევროპულ და სხვა დასავლურ კანონებთან პარალელის გავლებას და განაცხადა: „მგონია, რომ თანამედროვე, ახალგაზრდა პოლიტიკოსები ჩვენი წინამორბედებისგან იმით უნდა განვსხვავდებოდეთ, რომ „პარტიულ მესიჯბოქსებზე ბრმად არ ვიჯდეთ“ და ცოტა უფრო მეტად ინფორმირებული და ვალიდური იყოს ჩვენი განცხადებები“, რადგან მათ შორის არაერთი განსხვავებაა: პირველი - თუ კარგად ჩავიხედავთ კანადურ კანონში, რომელიც 10 მარტს იქნა ინიცირებული, ვნახავთ, რომ კანადის მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებს და ყველა დაინტერესებულ მხარეს, შენიშვნების წარსადგენად ვადა მისცა 9 მაისამდე, ხოლო ჩვენთან, მოტყუებით შემოიტანეს კანონპროექტი და ასევე, მოტყუებით გაიტანეს პირველ მოსმენაზე; მეორე - ამერიკისგან, კანადისგან და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ჩვენ ვართ ჰიბრიდული რეჟიმის მქონე სახელმწიფო, რომელსაც დემოკრატიისგან, 10 ბალიან სისტემაში, გვაშორებს 5 ქულა, ხოლო

ისინი არიან დემოკრატიული სახელმწიფოები და დიდი იყო იმის ალბათობა, რომ საქართველოში ეს კანონი გამოყენებული იქნებოდა არა დემოკრატიის დასაცავად, არამედ ავტორიტარული რეჟიმის განსამტკიცებლად. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კანადაში, ისევე, როგორც ევროკავშირში და სხვა სახელმწიფოებში ამ კანონის განხილვის და მიღების დროს, მკაფიოდ არის გაკეთებული ჩანაწერი: „კანონი გამოიყენება მტრულად განწყობილი სახელმწიფოების და ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ". კანადის შემთხვევაში, ზუსტად ორი კვირის წინ გამოქვეყნდა ანგარიში, სადაც რუსეთმა, ჩინეთმა და ირანმა სცადა 2021 წლის არჩევნებში ჩარევა და სწორედ ამ სახელმწიფოების წინააღმდეგ არის კანონი მიმართული, ხოლო ევროკავშირში ეს ეხებოდა კატარს, ჩინეთს და რუსეთს. საუბრის ბოლოს, ანა გოგოლაძემ მიმართა უმრავლესობას: „ძვირფასო ხელისუფლება, მიიღეთ კანონი მტრულად განწყობილი რუსეთის წინააღმდეგ და სამოქალაქო საზოგადოებაც და ოპოზიციური პარტიებიც ვიქნებით თქვენს გვერდით".

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა ქუჩაში გამოსვლით და აქციის ფორმით ნორმალურია, რაშიც ვერავინ ხედავს პრობლემას და მადლობა გადაუხადა, როგორც პოლიციას, ასევე, „ქართული ოცნების" ხელმძღვანელობას და მთავრობას იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში არ დაუშვეს სისხლისღვრა. ისაუბრა კანონზე და აღნიშნა, რომ ხელისუფლებას მეტი უნდა ესაუბრა მოსახლეობასთან, რათა არ დარჩენილიყო სპეკულაციების ადგილი, რაშიც იგულისხმება აქციაზე გაჟღერებული არასწორი ინფორმაცია, რომ თითქოს ემიგრანტები რომ საზღვარგარეთიდან ოჯახის წევრებს გამოუგზავნიან თავისი შრომით გამომუშავებულ ფულს, ამის გამო ვინმეს დაარქმევენ უცხო ქვეყნის აგენტებს და შემდეგ, როდესაც კანონს დაამძიმებენ, შეძლებენ მათთან მივიდნენ და პოლიტიკური შეხედულებების გამო, „აგენტის სარჩულის" საფუძველზე, დააკავონ ან სამსახურიდან გაათავისუფლონ. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მოსმენის შემდეგ კანონპროექტი იგზავნებოდა ვენეციის კომისიაში, რომელსაც ამასთან დაკავშირებით უნდა დაედო დამატებითი დასკვნები, ფიქრობს, რომ მოსახლეობასთან მეტია სამუშაო მაშინ, როდესაც პარლამენტში განსახილველად გადის მსგავსი კანონი. განაცხადა, რომ გულდასაწყვეტია, როდესაც მას და მისი გუნდის წევრებს - ადამიანებს, როლებსაც ამ ქვეყნისთვის და ქალაქისთვის ბევრი უკეთებიათ და აკეთებენ, „რუსეთუმეებს და მოღალატეებს" ეძახიან. მისი თქმით, ამ ქვეყნის მონაპოვარია ის, რომ 2012 წლის შემდეგ გვყავს ხელისუფლება, რომლის დროსაც გვაქვს სტაბილური მშვიდობა, სტაბილური განვითარება და რომლის დროსაც ძალიან ბევრი ნაბიჯი იქნა გადადგმული ევროპისკენ, მათ შორის: კონსტიტუციაშია ჩაწერილი ევროპისკენ და ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვა; მივაღწიეთ ვიზალიბერალიზაციას, რის შედეგადაც ძალიან ბევრმა ადამიანმა შეძლო ევროპის უკეთ გაცნობა; გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და ეს ყველაფერი მივიღეთ დღევანდელი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად. საუბრის ბოლოს, კონსტანტინე ზარნაძე გაეხმაურა ნინო წულაძის განცხადებას, რომ აქციაზე იყო საჯარო მოხელე, რომელსაც ეჭირა ევროკავშირის დროშა და განაცხადა: „ის, რომ საჯარო მოხელე დღეს ბედავს გამოსვლას აქციაზე და ის, რომ საჯარო მოხელეს დღეს აღარ ეშინია თავისი უფროსის, რომ მას სამსახურიდან გააგდებენ, ეს არ არის ციდან ჩამოვარდნილი, ეს არის მონაპოვარი და ამ მონაპოვარს ჩვენ აუცილებლად გავუფრთხილდებით ბოლომდე".

ანა კაკაბაძე გამოეხმაურა ანა გოგოლაძის განცხადებას, რომ ახალგაზრდები დამოკიდებული არ უნდა იყვნენ „პარტიულ მესიჯბოქსზე" და თავიანთი აზრი უნდა ჰქონდეთ, რაზეც თავისი არგუმენტები წარმოადგინა, რაც მისაღებია და მიმართა მას: „თუ თქვენი რეალური მიზანი, ნებისმიერი ადამიანის მიზანი იყო, რომ ეს კანონი არ ყოფილიყო გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის საწინააღმდეგოდ, რომ ეს კანონი არ დამსგავსებოდა იმას, რაც რუსეთში მიიღეს, ხომ არ ჯობდა, რომ დავმსხდარიყავით და განგვეხილა? სახელი „აგენტი" არ მოგწონდათ, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცეში იყო? სახელი შეგვეცვალა. იმაზე ხომ არ გვესაუბრა, რომ რაღაც კონკრეტიკა ჩაგვეწერა? მეორე მოსმენა, მესამე მოსმენა რისთვის არის საჭირო? გინდათ გითხრათ ამ კანონმა რატომ არ გაამართლა რუსეთში? იმიტომ, რომ რუსეთია ცუდი, რუსეთი სახელმწიფო არაა, რუსეთი არის ერთი დიდი გიგანტური კლანი, სადაც

არცერთი კანონი არ ფუნქციონირებს და ამ კანონის შერაცხვა რუსულ კანონად იყო არასწორი. თქვენ მოახერხეთ, რომ ამერიკული კანონი „დაბრენდეთ“ რუსულ კანონად და ეს თქვენი გამარჯვებაა, თუ გამარჯვებას ეძახით და რუსეთში რომ ეს კი არა, არცერთი კანონი არ მოქმედებს, ყველამ კარგად ვიცით და იმედია, მეც არ მომაწერთ, რომ „რუსეთუმე“ ვარ და ა.შ... პრობლემა ის კი არ არის, რომ თქვენ არ გინდოდათ ამ კანონის მიღება და პრობლემა ის კი არ არის, რომ რაღაც რისკებს ხედავდით საქართველოს გარუსებაში, პრობლემა ის არის, რომ რაღაცა „დაბრენდეთ“, მერე ამ ბრენდს შეუერთდით და ყველანი ერთად ცდილობდით, რომ ნებისმიერი მეთოდებით მთავრობის ცვლილება მოგეხდინათ“. ანა კაკაბაძე ასევე, გამოეხმაურა საერთაშორისო მეგობრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს და რამდენიმე რიტორიკული კითხვით მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „ხომ არ აღმოჩნდა, რომ ევროკავშირში უკვე დაიწყეს ამ საკითხზე საუბარი? ხომ წერს უკვე პოლიტიკო იმას, რომ საქართველოში „დარეჯექთებული“ კანონი, რომელიც საქართველოში არ მივაღებინეთ, ეს ცოტა უხერხული იყო? უხერხულია ახლა ამ კანონის ინიცირება, რაც ევროპარლამენტში ახლა უკვე განიხილება? ხომ არ გგონიათ რომ რაღაც გაუგებრობას და პირფერობას ჰქონდა ადგილი?“ საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს კანონპროექტი უკან გაიწვია იმიტომ, რომ მას ესმის ახალგაზრდობის ხმა და ზრუნავს თითოეული ადამიანის სიცოცხლეზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ

სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნათია ვერძაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.13.020.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.02.006.004) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი

ქონების (69/616 ნაწილი) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში არსებული 23.96 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.003.01.004ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ბ-ში არსებული 49 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N74- ში არსებული 43.29 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.105.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 399 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.156) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს" (ს/ნ. 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიკე გრუპის" (ს/ნ. 405385578) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.003.01.01.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N41 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანას კარისთვის“ (ს/ნ. 400343348) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ. N01.10.17.023.001.01.01.033) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/კ. 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ N01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

26. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N42-ში; ქალაქი თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N118; N118ა; N116ბ; N116; N124ა; N116ა; N124-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.029.043; N01.17.11.029.035; N01.17.11.029.028; N01.17.11.029.037; N01.17.11.029.030; N01.17.11.029.013; N01.17.11.029.038; N01.17.11.029.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.13.669; N81.02.13.671; N81.02.13.670; N81.02.13.672) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ.N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.06.015.162; N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.060; N01.14.16.008.142; N01.14.16.008.144; N01.14.16.008.143;

N01.14.16.008.141; N01.14.16.008.140) კინო-ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქ.თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის N117ე, N117, N117ბ, N117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.036; N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N50 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.013, ნაკვეთი 13/13) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N200 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, ვაჟა ფშაველას I შეს. N1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016; N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევი N7ა-ში; ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N48-ის მიმდებარედარსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.011; N01.17.11.027.144; N01.17.11.027.145; N01.17.11.027.143; N01.17.11.027.134) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების

კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქ თბილისში, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი, N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.013.926; N01.72.14.009.657; N01.10.05.042.012) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საავტომობილო მომსახურების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართებზე - 1. ქ.თბილისი, სოხუმის ქ.6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. N01.13.06.015.005); 2. ქ.თბილისი, ევდოშვილის ქ.25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. N01.13.06.015.002) 3. ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ.N35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. N01.13.06.015.014) - მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „სანამის" (ს/კ. 402191150) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების შესახებ";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

42. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ. 01011013838) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტებისა და ჩამოსაწერი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1530000 ლარით, კერძოდ, შემოსავლების ნაწილში იზრდება სანქციების, ჯარიმებისა და საურავების მუხლი, ფაქტობრივი შემოსავლებიდან გამომდინარე და ეს თანხა ხარჯვით ნაწილში გადანაწილდება შემდეგი მიმართულებებით: კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა თბილისის საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებზე, საზოგადოების განათლების და ინფორმირების ხელშეწყობა, ქონების მართვის სააგენტოს არაფინანსური აქტივების ზრდა, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, რომელსაც ემატება 20 საშტატო ერთეული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყარე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია იმ თანხის შევსება, რომელზეც არსებობდა შეთანხმება მუნიციპალიტეტსა და ბანკს შორის, კერძოდ, საუბარია ნახევარ მილიონ ევროზე, რომელიც მოხმარდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის იმპლემენტაციას - ათამდე მიმართულება იფარება საერთაშორისო კონსულტანტთან ერთად, რომელიც სააგენტოსთან მუშაობს ყოველდღიურ რეჟიმში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან გამომდინარე, თვითმმართველობის ფუნქციებს დაემატა მუდმივ და დროებით სქემებთან დაკავშირებით შემოწმების უფლებამოსილება და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ემატება სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში აღნიშნული საქმიანობის კონტროლს.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ იმ სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს მუნიციპალიტეტი, საკრებულოს წევრმა, საბა ბუაძემ, გააკეთა სახელმწიფოებრივად სწორი და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი რეფორმის მხარდამჭერი განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ ყაზბეგის გამზირზე მოწყობილი „ბასლაინების“ და ველობილიკების ახალი სისტემა არის ქალაქის ევროპული მომავლის ერთ-ერთი ნაწილი და რომ ის მხარს უჭერს ამ რეფორმას და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „ვინაიდან და რადგანაც ჩვენ მოსახლეობასთან კომუნიკაციაში გვჭირდება ჩვენი ოპოზიციონერი კოლეგების მხარდაჭერა ასეთ საკითხებზე, იქნებ თქვენც მიბაძოთ ბატონ საბას და ერთიანი ფრონტით შევუტიოთ“, რათა ევროკავშირში შესასვლელად ერთი ნაბიჯით წინ გადავიწიოთ.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ როდესაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იმაზე საუბრობენ, რომ კახა კალაძემ თბილისში ავტობუსები შემოიყვანა, ისიც უნდა აღნიშნონ, თუ რა თანხებით ყიდულობს თბილისის მერი ამ ავტობუსებს.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი მხარს უჭერს სატრასნპორტო პოლიტიკას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ერთადერთი მინუსი, რაც ამ რეფორმას აქვს, ეს არის ტემპი. მისი თქმით, წელს ხერხდება მხოლოდ და მხოლოდ ორი გამზირის მოწყობა და ჭირს ამ პროცესის დაჩქარება ან რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. სამწუხაროდ, ის სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც მოსაწონია, რეალობაში ვერ ხორციელდება, რაც ყველაზე მტკივნეულია. აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ყაზბეგის გამზირიც კარგია და ჭავჭავაძის გამზირიც, თუმცა, გლდანში გვაქვს ის მდგომარეობა, რომ ახმეტელის მეტროსადგურის წინ, სადაც ხდება 15 სამარშრუტო ხაზის კონცენტრაცია, დღემდე არ არის მოწყობილი არცერთი მოსაცდელი მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში მიმართა შესაბამის სამსახურს მოსაცდელების მოწყობის თხოვნით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მიხეილ კაკაურიძის მხრიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არის საქმიანი დამოკიდებულება და საკრებულო მზად არის, კომისიურ ფორმატში განიხილოს მის მიერ ხსენებული საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული

განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება ტაქსების რეგულაციებთან დაკავშირებულ ცვლილებებს, კერძოდ, მიმდინარე წლის 20 მარტიდან პირველ აპრილამდე შეიზღუდება ტაქსებზე ნებართვების გაცემა, ხოლო პირველი აპრილიდან მოხდება ნებართვების გაცემა სრულიად ახალი ფორმატით - ნებართვა საჩუქრად გადაეცემა ყველა იმ პირს, ვინც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან ფლობდა აღნიშნულ ნებართვას; ნებართვის აღებასთან დაკავშირებული თანხები რჩება იგივე; 2023 წლის პირველი აპრილიდან ტაქსის მძღოლები შეძლებენ ისარგებლონ „ბასლაინში" მათთვის დაშვებულ ადგილებზე შესვლის უფლებით მგზავრის ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი მოცულობის ცვლილებები საკრებულოს სხდომამდე ერთი დღით ადრე არ უნდა შემოდიოდეს განსახილველად და იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ, შესაბამისი სამსახურები გაითვალისწინებენ აღნიშნულს და საკრებულოს წევრებს სამუშაოდ ექნებათ ადეკვატური დრო. აქვე, გამოეხმაურა ოთარ გრიგოლიას, რომელმაც ოპოზიციონერ კოლეგებს მიმართა, რომ მხარი დაუჭირონ უმრავლესობას სხვადასხვა საკითხებში და მიმართა მას: „მხარს აუცილებლად დაგიჭერთ, თუ თანამშრომლობას თქვენგანაც ვიგრძნობთ" და განაცხადა, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ოპოზიციის წარმომადგენლებს არ აქვთ არცერთი სამსახურის უფროსთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. მისი თქმით, საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიას დამკვიდრებული აქვს ძალიან კარგი პრაქტიკა, კერძოდ, კომისიის სხდომაზე მოსული იყო ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის უფროსი, რომელმაც წარადგინა 2022 წლის ანგარიში და 2023 წლის სამოქმედო გეგმა და აღნიშნა, რომ ძალიან კაგი იქნება, საკრებულოში პროფილურად რომ მოხდეს მსგავსი მიდგომის დამკვიდრება, რადგან, იმ ფონზე, როდესაც სხვადასხვა სამსახურის უფროსები არ მოდიან ოპოზიციური ფრაქციების სხდომებზე, ეს ოპოზიციისთვის იქნება შესაძლებლობა, გაიგოს უმრავლესობის წლიური გეგმები, რათა შემდეგ ოპონირებაც და მხარდაჭერაც იყოს ადეკვატური.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების სხდომებზე, პროექტების წარმოდგენა, ხშირ შემთხვევაში, ხდება მერიის შესაბამისი სამსახურების უფროსების მიერ და მიმართა საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს, რომ საკრებულოს ყველა წევრს მიაწოდონ ინფორმაცია კომიის სხდომის ჩატარების თარიღთან დაკავშირებით. მისი თქმით, ასევე, მისაღებია ანა გოგოლაძის წინადადება, რომ მერიის სამსახურების უფროსებმა საკრებულოს კომისიურ ფორმატში წარმოადგინონ შესრულებული სამუშაოს ანგარიში და სამომავლო გეგმები. გიორგი ტყემალაძემ ისაუბრა წარმოდგენილი საკითხის საკრებულოში სხდომამდე ერთი დღით ადრე დარეგისტრირებაზე და განმარტა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული გამოწვეულია შემჭიდროვებული ვადების გამო და მიმართა მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებს, რომ მსგავსი შინაარსის მქონე საკითხების წარმოდგენისას გაითვალისწინონ აღნიშნული.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომამდე ერთი დღით ადრე შემოვიდა არა მხოლოდ ხსენებული პროექტი, არამედ სხვა ბევრი პროექტიც და გამოთქვა მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, საკრებულოს სხდომა გადაიდოს თუნდაც ერთი კვირით, რათა საკრებულოს წევრებს მიეცეთ საკითხების შესწავლის შესაძლებლობა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ წინა კვირას ვერ ჩატარდა მთავრობის სხდომა იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქის მერს ჰქონდა კოვიდი, ხოლო მომდევნო კვირის განმავლობაში, თავად, რამდენიმე კოლეგასთან ერთად, მიემგზავრება მივლინებაში და ამასთანავე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოდგენილი ცვლილებები საკრებულოს უნდა მიეღო მიმდინარე წლის 20 მარტამდე.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ გარდა გიორგი ტყემალაძის მიერ ჩამოთვლილი მიზეზებისა, კონკრეტული უწყებებისგან შენიშვნები მერიაში წარდგენილი იქნა ორი დღით ადრე, რამაც განაპირობა საკრებულოში პროექტის საბოლოო სახით წარმოდგენის შეფერხება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის დაკარგული საცნობი ნიშნის აღდგენას ემატება დაზიანებაც და ამ შემთხვევაშიც მუნიციპალიტეტი შეცვლის საცნობ ნიშანს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილება ეხება გასხვისებულ პლასტიკურ ბარათებს, კერძოდ, მოსახლეობა ითხოვს, რომ ბარათების დაბრუნება მოხდეს ერთ-ორ დღეში და გამოაკლდეს დანახარჯი. წარმოდგენილი ცვლილებით, გაყიდული პლასტიკური ბარათი, რომლის საფასურიც გადახდილია, დაბრუნებას აღარ ექვემდებარება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის

წარმომადგენელმა ნათია ვერძაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში, რომლის მიხედვითაც თვიური ვაუჩერის ღირებულება 400 ლარის ნაცვლად, იქნება 450 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია სამსახურში არსებული ფუნქციების გადანაწილება-მოწესრიგება, რაც საჭირო გახდა განვლილი წლების პრაქტიკიდან გამომდინარე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება გულისხობს მომავალში კერძო სექტორის ჩართულობას და გეოგრაფიული არეალის გაფართოებას, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ სერვისი უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს მოქალაქეებისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ „თბილსერვის ჯგუფი“ ახორციელებს ნარჩენების სეპარირებას, რის შემდეგაც ხდება ამ ნარჩენების აუქციონით გაყიდვა. რეალურად, მუნიციპალიტეტს უწევდა სეპარირებული ნარჩენების შეგროვება, დასაწყობება და შემდგომ გაყიდვა, რაც ქმნიდა ძალიან დიდ პრობლემებს. წარმოდგენილი პროექტით ზუსტდება, რომ ნაგავსაყრელებზე არსებული სეპარირებული ნარჩენები წარმოადგენს „თბილსერვის ჯგუფის“ საკუთრებას და შესაბამისად, აუქციონი რომ გამოცხადდება, შემოსავალს მიიღებს „თბილსერვის ჯგუფი“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი დაკავშირებულია წინა საკითხთან და ამ შემთხვევაში შემუშავებულია აუქციონის განსხვავებული წესი, კერძოდ, მიმდინარე წელს, წინასწარ, სავარაუდო მოცულობაზე, გამოცხადდება ერთი აუქციონი და გამარჯვებული კომპანია, „თბილსერვის ჯგუფის“ მითითების საფუძველზე, ეტაპობრივად გაიტანს ნარჩენებს, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ტერიტორიაზე აღარ მოხდება სეპარირებული ნარჩენის დაგროვება. აუქციონის ფასი დადგენილი იქნება ერთი წლის ვადით და აუქციონში მონაწილე პირებს შორის კონკურენცია იქნება პირობითი ერთეულის ღირებულებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.13.020.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 222 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი ოჯახისთვის, რომლებიც 1990-იანი წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.02.006.004) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (69/616 ნაწილი) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 69 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში არსებული 23.96 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.003.01.004ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 23 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ბ-ში არსებული 49 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 49 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N74- ში არსებული 43.29 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.105.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 73 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 83 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 168 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2010-12 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 399 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.156) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება მოქმედი ეკლესიის დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს“ (ს/ნ. 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიკე გრუპის“ (ს/ნ. 405385578) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საკითხი ეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებას, რომლის თანახმადაც, წარმოდგენილია შპს-ს ცვლილება. ახალი შპს სრულად იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, წარმოადგენს ახალ საბანკო გარანტიას 700000 ლარის ოდენობით და უზრუნველყოფს ყველა ვალდებულების შესრულებას. ამასთანავე, წარმოდგენილია მშენებლობის ნებართვის აღების ვადის დარღვევის გამო დაკისრებული 75600 ლარის პირგასამტეხლოს პატიება იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მოხდა კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.003.01.01.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N41 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში მოქალაქეს დაუკანონა 60 კვ.მ. ფართი, თუმცა საკადასტრო კოდის მითითება მოხდა შეცდომით და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომლის მიხედვითაც სწორდება საკადასტრო კოდი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. „ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანას კარისთვის“ (ს/ნ. 400343348) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის

გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 2024 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო საიჯარო ქირა შეადგენს 4800 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ. N01.10.17.023.001.01.01.033) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/კ. 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციას", გაფართოების მიზნით, ორი წლის ვადით, დამატებით გადაეცემა მომიჯნავედ არსებული უძრავი ქონება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ N01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" პოლიციასა და „მზიურს" შორის არსებული სტადიონის გადაცემა, ორი წლის ვადით. აღნიშნულ სტადიონზე რეალურად ტარდება ჩემპიონატები, მათ შორის „მასტერ ლიგა", რასაც კოორდინაციას უწევს ხსენებული ასოციაცია და შესაბამისად, ის აიღებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ვალდებულებას და სრულად უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის

უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება ისტორიულ უბნებში ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლება-რეაბილიტაციას, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ბიზნესის მონაწილეობა. როდესაც ამა თუ იმ შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციას ახორციელებს კერძო სექტორი, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, პროექტი რომ იყოს მომგებიანი, საჭიროა გაცილებით დიდი მოცულობის მშენებლობის წარმოება, თუმცა, ძველ თბილისში, ბუნებრივია, აღნიშნული მისაღები არ არის და ამიტომ პროგრამა ითვალისწინებს შემდეგს: ბიზნესი, კონკრეტული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლება-რეაბილიტაციის კუთხით, შეძლებს სამშენებლო საქმიანობა განახორციელოს უშუალოდ „თბილისის განვითარების ფონდის" მიერ წარმოდგენილი პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, მაგრამ მას ექნება უფლება მუნიციპალიტეტისგან მიიღოს წინადადება, რომ საკუთრებაში არსებულ სხვა, არაისტორიულ უბანში მდებარე, ტერიტორიაზე განესაზღვროს განსხვავებული სამშენებლო პარამეტრები, რათა დააბალანსოს თავისი ბიზნეს ინტერესი. ამ გადაწყვეტილებით, ერთი მხრივ, მოხდება ისტორიული უბნის იერსახის შენარჩუნება და მესაკუთრეების ყოფითი პირობების გაუმჯობესება და ამავდროულად ბიზნესსაც დაკმაყოფილებული ექნება თავისი ინტერესი.

ნინო წულაძის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ პროცესი დაიწყო და მუნიციპალიტეტი ლაპარაკობს ავარიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ჩანაცვლება-რეაბილიტაზე, თუმცა, წარმოდგენილი პროგრამების გამჭირვალობასთან დაკავშირებით, შესაძლებელია არსებობდეს კითხვის ნიშნები, მათ შორის, მოქალაქეთა აღქმით. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტს ჰქონდეს სისტემურად ერთიანი ბაზა და თუნდაც გამგეობებში არსებული მიმართვების გაერთიანებით და ავარიულობის განსაზღვრით გვქონდეს მონაცემთა ბაზა და შესაბამისად, ამ პროგრამის ბენეფიციარები შეირჩნენ კრიტიკული შინაარსის მონაცემების საფუძველზეც, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ამ კუთხით წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობაა და ადამიანებს ცხოვრება უწევთ მომეტებული საფრთხის პირობებში. ნინო წულაძემ განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია, რომ დეველოპერებს, სარგებლის სახით, მიეცემათ კ2 კოეფიციენტის გადამეტების შესაძლებლობა იქ, სადაც ურბანული თვალსაზრისით იქნება ამის საშუალება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მუნიციპალიტეტის მიმართ არ არის ნდობა, რომ კოეფიციენტის გადაჭარბება მოხდება მხოლოდ და მხოლოდ იქ, სადაც არ დაზიანდება ურბანული გარემო, კარგი იქნება პროგრამაში იყოს რაიმე სახის ჩამკეტი, რათა ქალაქი არ გადაიქცეს „ბეტონების ჯუნგლებად". საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ სურს არსებობდეს ის მიდგომა, რომ ხელაღებით არ მოხდება კ2 კოეფიციენტის გადამეტება და სადაც არ იქნება ამის შესაძლებლობა, პროცესი არ წარიმართება „ხელის გადაგრეხვით", ვიზრუნებთ ურბანულ გარემოზე, პროცესში ჩავრთავთ მოქალაქეებს და გავითვალისწინებთ მათ აზრს.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ყველასთვის მნიშვნელოვანია, მიღებული არ იქნას ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ქალაქს ურბანულად დააზიანებს და სწორედ ამიტომ საუბარია ირიბ პრეფერენციაზე, რათა ისტორიული არეალი შენარჩუნებული იქნას ურბანული ჩარევისგან, თუმცა, რა თქმა უნდა, არც არაისტორიულ ნაწილში არ უნდა მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეუსაბამო იქნება იქაური გარემოსთვის, რისი მაქსიმალური დაზღვევა არის შესაბამისი კომისია, მთავრობის სხდომა, საკრებულოს კომისია და საკრებულოს სხდომა, რომლებმაც ყოველ კონკრეტულ ობიექტზე კოეფიციენტის გადაჭარბებაზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ისევე, როგორც ეს ხდება დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებისას.

ლევან არველაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თბილისის ბიუჯეტს გაუჩნდება დამატებითი რესურსები, კონკრეტულად კი „თბილისის განვითარების ფონდს", რომელიც განახორციელებს პაკეტების შეკვრას და ამ კუთხით ბიზნესის დაინტერესების შემთხვევაში, თავისი ზედამხედველობით აწარმოებს პროექტების გაყიდვას. აქვე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესი საკმაოდ ძვირი ჯდება, შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის რთულია, ამდენი ავარიული სახლის

ეტაპობრივი რეაბილიტაცია-ჩანაცვლება და აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს ნამდვილად დაეხმარება, თუ დროდადრო ამ პროცესში ჩაერთვება ბევრი ბიზნეს-წარმომადგენელი.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროექტს „საუკეთესო მიზანი აქვს", თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამ და სხვა მსგავსი პროექტების შედეგად, ვიღებთ ურბანული თვალსაზრისით ქაოტურ განვითარებას და აქედან გამომდინარე, კარგი იქნება აღნიშნულის და მისი მსგავსი პროექტების განხორციელებისთვის მოვიფიქროთ დაფინანსების რაიმე სხვა ფორმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, დადგენილებას ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც იმ არეალებში, სადაც სავალდებულოდ უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა, შესაძლებელია ავარიული შენობების ჩანაცვლება, თუ ეს ავარიული შენობა-ნაგებობა იქნება მესამე კატეგორიის.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-03230541-03 თარიღი: 23.02.2023, N12-03230542-03 თარიღი: 23.02.2023, N12-03230744-03 თარიღი: 15.03.2023, N12-0323074109-03 თარიღი: 15.03.2023, N12-0323074118-03 თარიღი: 15.03.2023, N12-0323074120-03 თარიღი: 15.03.2023 და N12-03230475-03 თარიღი: 16.02.2023 (განსახილველად წარმოდგენილია „ა" პოზიცია) რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-0323074109-03 წერილით წარმოდგენილი „ო" პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N42-ში; ქალაქი თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N118; N118ა; N116ბ; N116; N124ა; N116ა; N124-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.029.043; N01.17.11.029.035; N01.17.11.029.028; N01.17.11.029.037; N01.17.11.029.030; N01.17.11.029.013; N01.17.11.029.038; N01.17.11.029.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 82000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია შვიდი

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის და საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.13.669; N81.02.13.671; N81.02.13.670; N81.02.13.672) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 9500 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება სამი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ.N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.06.015.162; N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 12000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ერთი, მაქსიმუმ ხუთსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.060; N01.14.16.008.142; N01.14.16.008.144; N01.14.16.008.143; N01.14.16.008.141; N01.14.16.008.140) კინო-ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 30000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, დაგეგმილია კინოქალაქის მშენებლობა, სპეციალური ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქალაქ თბილისში, სამურზაყანოს ქუჩა N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 7300 კვ.მ., სადაც, საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხელშემწყობი ღინისძიებების ფარგლებში კ2 კოეფიციენტი გაიზარდა 7.3-მდე. შესაბამისად, წარმოდგენილი კორექტირება ითვალისწინებს ამ ცვლილების ასახვას, კერძოდ, ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსდება 18 სართულიანი, ხოლო მეორე მიწის ნაკვეთზე - 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქ.თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის N117ე, N117, N117ბ, N117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.036; N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N50 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 14000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია ფუნქციური გადანაწილება, კერძოდ 72% დაეთმობა საცხოვრებელ ფუნქციას და 28% - კომერციულს, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.013, ნაკვეთი 13/13) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N200 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 121000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია შენობა-ნეგებობების განთავსების ცვლილება და უფრო მეტი მოცულობის სარეკრეაციო სივრცის გაჩენა, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია არქივის შენობის მოცულობის ზრდა, კერძოდ, მიწისქვეშა სართულს ემატება მიწისზედა სართული, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისში, ვაჟა ფშაველას I შეს. N1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016; N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი, რომელიც გულისხმობს, რომ ხელისუფლებამ, მათ შორის, მუნიციპალიტეტმაც, მოქალაქეები უნდა ჩართოს გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე. ეს გულისხმობს იმას, რომ, როდესაც ხორციელდება ასეთი მასშტაბური პროექტები და მომიჯნავედ მაცხოვრებელი დაახლოებით 240-მდე ოჯახის ნაწილი აპროტესტებს ამ პროექტს, აუცილებლად უნდა მოხდეს მოქალაქეებთან მისი განხილვა, მათი აზრის გათვალისწინება და არგუმენტი არ არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ტერიტორიაზე გაკრული იყო საინფორმაციო აბრა და თუ ვინმეს ჰქონდა კითხვის ნიშნები ან პროტესტი, უნდა მიემართა მუნიციპალიტეტისთვის, რომლის როლი, მისი თქმით, მდგომარეობს იმაში, რომ შეხვდეს ადგილობრივ მოსახლეობას და თითოეულ კითხვას გასცეს პასუხი. გამოთქვა მოსაზრება, რომ ისეთ საკვანძო ტერიტორიაზე, როგორიც არის დელისის მეტრო, არ შეიძლება ვინმეს მოეწონოს წარმოდგენილი პროექტი, შესაბამისად, გასათვალისწინებელია ადგილობრივი მაცხოვრებლების არგუმენტები და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ სამომავლო პროცედურებამდე ამ პროცესში ჩართონ მოქალაქეები და განიხილონ მათი მოსაზრებები.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საკრებულოც და შესაბამისი სამსახურიც აქტიურად არის ჩართული ხსენებულ პროექტთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებში, მათ შორის, კომუნიკაცია აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან და მაქსიმალურად იქნება მცდელობა, რომ დაახლოვდეს მუნიციპალიტეტის და მოქალაქეების პოზიციები. მისი თქმით, ყველას ურჩევნია, რომ იყოს რაც შეიძლება ნაკლები მშენებლობები, თუმცა, დღეს ამ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა არ არის ურბანულ გარემოსთან შესაბამისობაში და აქედან გამომდინარე, უნდა მივიღოთ შეჯერებული ვარიანტი, რისთვისაც მუნიციპალიტეტს ექნება მოსახლეობასთან შეხვედრები და პროცესი გაგრძელდება მათთან კონსულტაციების შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევი N7ა-ში; ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N48-ის მიმდებარედარსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.011; N01.17.11.027.144; N01.17.11.027.145; N01.17.11.027.143; N01.17.11.027.134) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის

დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 10000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 13 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.002) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 6000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ხუთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 8 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქ თბილისში, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი, N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.013.926; N01.72.14.009.657; N01.10.05.042.012) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საავტომობილო მომსახურების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 5044 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ავტოსერვისის და საწყობის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების

თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 8500 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 13 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართებზე - 1. ქ.თბილისი, სოხუმის ქ.6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. N01.13.06.015.005); 2. ქ.თბილისი, ევდოშვილის ქ.25 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. N01.13.06.015.002) 3. ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ.N35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. N01.13.06.015.014) - მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „სანამის“ (ს/კ. 402191150) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ შპს „სანამი“, სოხუმის ქ.N6 და ევდოშვილის ქ.N25-თან არსებულ მიწის ნაკვეთზე ახორციელებს პროექტს, სადაც, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, განხორციელდა ირიბი კომპენსაცია, კერძოდ, ინვესტორმა კ2 მიიღო არა უფასოდ, არამედ „ცენტრ პოინტის“ ფონდში ამ კ2-ის ჩარიცხვის გზით. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას გაუგრძელდა გრგ-ს პროცედურები, წარმოდგენილია თანხის გადახდის გადავადება, რომლის თანახმად, 626774 აშშ დოლარი უნდა გადაიხადოს მიმდინარე წლის 9 სექტემბრამდე და ამასთანავე, ვადის გადაცილებისთვის დაეკისრება ჯარიმა 62829 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ. 01011013838) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია ირიბი კომპენსაციის საკითხი, რომლის ფარგლებშიც ონიაშვილის ქ.N59-ში მიმდინარე მშენებლობას, რომლის 5 სართული აშენებულია, ემატება ერთი სართული და ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 92229 აშშ დოლარს, რომლის გადახდის ვადა არის 6 თვე. აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული არ იქნება მხოლოდ სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი ყველა სხვა რეგულაცია უნდა დაიცვას ინვესტორმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტებისა და ჩამოსაწერი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ საკრებულოს აპარატში ჩატარებული აუდიტის საფუძველზე, წარმოდგენილია აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის გადაწყვეტილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 12 დადგენილება და 31 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი